საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 1006/02-06
26/07/2019

1006-02-06-4-201907261018

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ალექსი პაჭკორიას იტალიის რესპუბლიკაში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" „ო" და ,,პ" ქვეპუნქტების, „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის N12/04 ერთობლივი ბრძანების, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ალექსი პაჭკორიას 2019 წლის 24 ივლისის N 14080/10-02 განცხადების (ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას თანხმობით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 24 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ მილანის უნივერსიტეტის (იტალიის რესპუბლიკა), მათემატიკის დეპარტამენტში მოხსენების "ნახევრადმოდულების თავისუფალი რეზოლვენტების შედარების თეორია და მისი გამოყენებები" წასაკითხად და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ალექსი პაჭკორია.
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს სამივლინებო 3633.15 ლარის ხარჯიდან, გადარიცხოს მგზავრობის ხარჯი 1450 ლარი, თანდართული 24.07.2019წ N27512 ინვოისის საფუძველზე და გასცეს 2183.15 ლარი ,უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტით მივლინებისათვის განსაზღვრული სახაზინო თანხებიდან (დანართი N 1).

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

3. დაევალოს ალექსი პაჭკორიას წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე.
4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, შიდა აუდიტის სამსახური).
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი N1

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომლის ალექსი პაჭკორიას იტალიის რესპუბლიკაში
მივლინების ხარჯთაღრიცხვა:

1. მგზავრობის ხარჯი: (24.07.2019 წ N27512 ინვოისი)- 1450 ლარი

2. სადღეღამისო ხარჯი:

15 დღე X 45 ევრო X 3.2343 ლარი=2183.15 ლარი

სულ: 3633.15 ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი: ი. საღარეიშვილი